



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №23

29 მაისი 2018 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (საავადმყოფო საწოლები) შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, შესაბამისი საჭიროების მქონე პირებს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება - საავადმყოფო საწოლები.
2. გადასაცემი საავადმყოფო საწოლებით მოსარგებლე პირთა ვინაობა საჭიროების გათვალისწინებით განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: www.georgiamunicipalities.gov.ge), დავით აღმაშენებლის №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე